

ვადასტურებ, რომ გავეცანი და ვეთანხმები მომსახურების წესებსა და პირობებს და შპს „კივის“ მიერ ჩემი პერსონალური მონაცემების დამუშავების წესებს მომხმარებლის ანგარიშის შექმნისა და მომსახურების უზრუნველსაყოფისთვის.

## ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვისა და ექსპედიციის ხელშეკრულება

ბოლო განახლების თარიღი: 1 მაისი 2026 წ.

შპს “KIWI POST”, შემდგომში ექსპედიტორი კომპანია, ვებ-გვერდი: [www.kiwi-post.ge](http://www.kiwi-post.ge)  
ელ.ფოსტა: [support@kiwi-post.ge](mailto:support@kiwi-post.ge), ტელ: +995 32 205 23 24; მისამართი: თბილისი, მცხეთის ქ. N1. და მომხმარებელი: ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სარგებლობს KIWI POST-ის გადაზიდვის სერვისით და მინიჭებული აქვს მომხმარებლის პერსონალური ოთახის ნომერი, რომელიც დაფიქსირებული იქნება საერთო კომერციულ ინვოისში, და KIWI POST-ის მონაცემთა ბაზაში, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი:

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ექსპედიტორის საწყობებიდან, რომლებიც მდებარეობს ქ. ლონდონში (გაერთიანებული სამეფო), ქ. ნიუარკში (აშშ), ქ. ტრაზონი (თურქეთი), ქ. გუანჯოუ (ჩინეთი) ქ. ათენი (საბერძნეთი) ქ. კასტელდეფელს (ესპანეთი) ქ. ჯელენია გორა (პოლონეთი) და ქ. თბილისში (საქართველო), მომხმარებლის მიერ ჩაბარებული და ექსპედიტორის მიერ მიღებული ქ. თბილისში ან/და ქ. ლონდონში საექსპედიციო გადაზიდვის მომსახურების გაწევა, რომელსაც ექსპედიტორი უზრუნველყოფს თავისი სახელით და შემკვეთის ხარჯზე.

ქ.თბილისში არსებული KIWIPOST-ის ფილიალები:

მცხეთის ქ. N1 ქ.თბილისი, 0194

ტელ. +995 32 205 23 24

[support@kiwi-post.ge](mailto:support@kiwi-post.ge)

ვაჟა-ფშაველა N90 ქ.თბილისი, 0194

ტელ. +995 32 205 23 24

[support@kiwi-post.ge](mailto:support@kiwi-post.ge)

ანგია ბოჭორიშვილი N33ა ქ.თბილისი  
ტელ. +995 32 205 23 24  
[support@kiwipost.ge](mailto:support@kiwipost.ge)

მირიან მეფის N17 ქ.თბილისი  
ტელ. +995 32 205 23 24  
[support@kiwipost.ge](mailto:support@kiwipost.ge)

ქ.თბილისში არსებული KiwiDrive-ის სერვის ცენტრები:

ამაშუკელის ქ. N23  
ტელ. +995 32 205 23 24  
[support@kiwipost.ge](mailto:support@kiwipost.ge)

დ. აღმაშენებლის ხეივანი N260  
ტელ. +995 32 205 23 24  
[support@kiwipost.ge](mailto:support@kiwipost.ge)

ქ.ქუთაისში არსებული KIWIPOST-ის ფილიალი:

დ. აღმაშენებლის გამზირი N81  
ტელ. +995 32 205 23 24  
[support@kiwipost.ge](mailto:support@kiwipost.ge)

ქ. ნიუარკში არსებული KIWIPOST-ის მისამართი:

2860 Ogletown Rd. Bldg 2 Unit 3  
Newark, DE, 19713  
TEL: +1 929 472-2378

ქ. ლონდონში არსებული KIWI POST-ის მისამართი:

20 Enterprise Way  
London, NW10 6UG  
TEL: +44776336 8842

ქ. ტრაბზონში არსებული KIWI POST-ის მისამართი:

Pelitli Mahallesi Şelale Sokak No: 35A  
Ortahisar, Pelitli Mah  
Trabzon 61010  
TEL: +05349104886

ქ. შენჯენში არსებული KIWI POST-ის მისამართი:

广东省, 深圳市, 宝安区, 福永街道, 深圳市宝安区福永街道兴华路南107号福兴达物流园C栋C405

ქ. ათენში არსებული KIWI POST-ის მისამართი:

Zinonos Athens omonia zinonos 5  
Athina 10431 Greece  
TEL: +(30) 6940854947 1.2

ქ. ჯელენია გორაში არსებული KIWI POST-ის მისამართი:

Jasna 3/2 NERSE SP.Z.O.O  
Jelenia Góra, Dolnośląskie,  
58-500  
TEL: +48534960700

ქ. კასტელდეფელსში არსებული KIWI POST-ის მისამართი:

Calle Indústria 60/K  
Castelldefels, Barcelona  
08860  
TEL: +34605435530

1.2 KIWIPOST-ის ვებ-გვერდზე [www.kiwipost.ge](http://www.kiwipost.ge) რეგისტრაცია უფასო და ნებაყოფლობითია, ხოლო მომსახურების პირობები საჯაროა. KIWIPOST-ის მომსახურებით სარგებლობა ნიშნავს, რომ მომხმარებელი გაეცნო და დაეთანხმა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს.

## 2. ტრანსპორტირება, ღირებულება და გადახდა:

2.1 ტრანსპორტირების ღირებულება გამოითვლება ამანათების რეალური/მოცულობითი წონიდან გამომდინარე. აშშ-დან საქართველოში 1 (ერთი) კილოგრამის ტრანსპორტირების საფასურია \$10 გადახდის დღისთვის არსებული TBC ბანკის აშშ დოლარის შესყიდვის კურსით ლარში. დიდი ბრიტანეთიდან საქართველოში 1 (ერთი) კილოგრამის ტრანსპორტირების საფასურია £8 გადახდის დღისთვის არსებული TBC ბანკის გირვანქა სტერლინგის შესყიდვის კურსით ლარში. თურქეთიდან 1 (ერთი) კილოგრამის ტრანსპორტირების საფასურია \$4 გადახდის დღისთვის არსებული TBC ბანკის აშშ დოლარის შესყიდვის კურსით ლარში. ჩინეთიდან 1 (ერთი) კილოგრამის საჰაერო ტრანსპორტირების საფასურია \$14 გადახდის დღისთვის არსებული TBC ბანკის აშშ დოლარის შესყიდვის კურსით ლარში. ჩინეთიდან 1 (ერთი) კილოგრამის სახმელეთო ტრანსპორტირების საფასურია \$5 გადახდის დღისთვის არსებული TBC ბანკის აშშ დოლარის შესყიდვის კურსით ლარში. საბერძნეთიდან 1 (ერთი) კილოგრამის ტრანსპორტირების საფასურია €4 გადახდის დღისთვის არსებული TBC ბანკის ევროს შესყიდვის კურსით ლარში. პოლონეთიდან 1 (ერთი) კილოგრამის ტრანსპორტირების საფასურია €6 გადახდის დღისთვის არსებული TBC ბანკის ევროს

შესყიდვის კურსით ლარში. ესპანეთიდან 1 (ერთი) კილოგრამის ტრანსპორტირების საფასურია €8 გადახდის დღისთვის არსებული TBC ბანკის ევროს შესყიდვის კურსით ლარში.

ტრანსპორტირების ღირებულება გამოითვლება 100 გრამის სიზუსტით. მხოლოდ საქართველოდან გაგზავნის შემთხვევაში, ასევე პოლონეთიდან გამოგზავნილი ამანათების შემთხვევაში მინიმუმი წონა შეადგენს 1 კგ-ს, რის შემდგომაც 100 გრამის სიზუსტით დამრგვალება ამანათების წონა.

2.2 კომპანია იტოვებს უფლებას, არასტანდარტული ზომის (თუ რომელიმე პარამეტრი 51სმ ან მეტია) გაბარიტული ტვირთის შემთხვევაში ტრანსპორტირების საფასური გამოითვალოს მოცულობითი წონის მიხედვით.

2.3 ტრანსპორტირების ინვოისი მომხმარებელს ეგზავნება ამანათის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ.

2.4 ტრანსპორტირების მომსახურების საფასურის გადახდა ხორციელდება კომპანიის ვებ-გვერდიდან საკრედიტო ბარათების და საბანკო გადარიცხვის (ინტერნეტ ბანკის) გამოყენებით. ტრანსპორტირების ღირებულების გადახდა ასევე შესაძლებელია სწრაფი გადახდის აპარატებით.

2.5 ჩინეთიდან სახმელეთო გზით გამოგზავნილი ამანათების წონის ღირებულება გამოითვლება რეალური წონით, ხოლო თუ ამანათის მოცულობითი წონა აღემატება 30კგ\_ს, ამანათის ტრანსპორტირების ღირებულება დაანგარიშდება მოცულობითი და რეალურ წონებს შორის მაქსიმალურით.

2.6 ჩინეთიდან საჰაერო გზით გამოგზავნილი ამანათების წონის ღირებულება გამოითვლება რეალური და მოცულობითი წონის გათვალისწინებით.

2.7 ყველა ქვეყნიდან ტრანსპორტირებული ამანათის წონის დამრგვალება ხდება 100 (ასი) გრამის სიზუსტით, გარდა პოლონეთიდან გამოგზავნილი ამანათებისა, რომლის შემთხვევაშიც მინიმუმი წონა შეადგენს 1 კგ-ს.

2.8 მომხმარებელი ვალდებულია ტვირთის შესაბამის ოფისში ჩასვლიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში გადაიხადოს ტრანსპორტირების საფასური, წინააღმდეგ შემთხვევაში ინვოისზე დაირიცხება შენახვის ყოველდღიური საკომისიო 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

2.9 KiwiPost-ის ამერიკის, ინგლისის, ესპანეთის და ჩინეთის საწყობებში მიღებული ამანათები ექვემდებარება გადაფუთვას, იმ შემთხვევაში, თუ არ დაირღვევა უსაფრთხოების ნორმები.

### **3. მომხმარებელი ვალდებულია:**

3.1 სრულად მიაწოდოს ექსპედიტორს ინფორმაცია გასაგზავნი ტვირთის შესახებ (ტვირთის კატეგორია), ასევე, ტვირთის შესაბამის ოფისში ჩაბარებისას მიუთითოს დეტალური ინფორმაცია ტვირთის მიმღების შესახებ (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, ოთახის ნომერი), აგრეთვე მისცეს მითითებები, რომლებიც აუცილებელია გადაზიდვის დოკუმენტების გასაფორმებლად, მიაწოდოს აუცილებელი ცნობები საბაჟო და სხვა მოქმედებათა შესასრულებლად.

3.2 მომხმარებელი ვალდებულია KIWIPPOST-ის ვებ-გვერდზე მიუთითოს ამანათის გზავნილის ნომერი (ე.წ. თრეკინგ კოდი) და დაადეკლარიროს პროდუქცია წინასწარ, რაც გულისხმობს ნივთის ღირებულების, ონლაინ მაღაზიის, გაგზავნილი ქვეყნის და პროდუქციის კატეგორიის მითითებას.

3.3 საფრთხის შემცველი ტვირთის არსებობისას შემცვეთმა უნდა გააფრთხილოს ექსპედიტორი საფრთხის ზუსტი სახეობის შესახებ და აუცილებლობის შემთხვევაში, მიუთითოს მას უსაფრთხოების ზომებზე.

3.4 ტვირთი, რომლის საფრთხეშემცველობის შესახებ არ იცოდა ექსპედიტორმა, შეიძლება ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას გადმოიტვირთოს, განადგურდეს ან გაუვნებელდეს ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაუკისრებლად.

3.5 შემცვეთი ვალდებულია, თუ ამას მოითხოვს ტვირთის სახეობა, შეფუთოს იგი გადაზიდვის მოთხოვნების შესაბამისად.

3.6 KIWIPOST-ი არ უზრუნველყოფს დამატებით შეფუთვას. მსხვრევადი ტვირთის შემთხვევაში, გამგზავნი თავად ფუთავს ამანათს და პასუხისმგებლობასაც თავად იღებს მის დაცულობაზე.

3.7 KIWIPOST-ი იტოვებს უფლებას გახსნას ნებისმიერი ამანათი, იმისათვის, რომ შემოწმდეს შიგთავსი, უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე.

3.8 მომხმარებელი ვალდებულია ამანათის შესაბამის ოფისში მიღებისას გადაამოწმოს ამანათის შიგთავსი. ოფისიდან გასვლის შემდეგ პროდუქციის დაზიანების შესახებ პრეტენზიები აღარ განიხილება და KIWIPOST-ი არ იღებს პასუხისმგებლობას ამანათში არსებული პროდუქციის შესაძლო დაზიანებაზე ან დანაკლისზე.

#### **4. საკურიერო მომსახურება:**

4.1 KIWIPOST-ი მომხმარებელს სთავაზობს საკურიერო სერვისს როგორც ქ. თბილისში, ასევე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

4.2 საკურიერო მომსახურების გააქტიურება შესაძლებელია ამანათების მართვის პანელიდან. იმისათვის, რომ მომხმარებელმა ისარგებლოს საკურიერო მომსახურებით, აუცილებელია წინასწარ ჩარიცხოს ბალანსზე შესაბამისი თანხა, გადაამოწმოს მითითებული მისამართი, ტელეფონის ნომერი და მონიშნოს საკურიერო მომსახურება პირად კაბინეტში.

4.3 საკურიერო მომსახურების გააქტიურების შემდეგ მისამართისა და ტელეფონის ნომრის ცვლილება შეუძლებელია.

4.4 სტანდარტული საკურიერო მომსახურება, თბილისის და ქუთაისის მასშტაბით, ხორციელდება 2-3 სამუშაო დღის განმავლობაში. რეგიონალური საკურიერო მომსახურების ვადები განისაზღვრება შესაბამისი გრაფიკით. კვირას საკურიერო მომსახურება არ ხორციელდება.

4.5 თბილისის მასშტაბით საკურიერო მომსახურების ტარიფებია:

0-5კგ-მდე ამანათები- 7 (შვიდი) ლარი;

5-10 კგ-მდე ამანათები- 9 (ცხრა) ლარი;

10-15 კგ-მდე ამანათები - 11 (თერთმეტი) ლარი;

15-20 კგ-მდე ამანათები - 13 (ცამეტი) ლარი;

20-25 კგ-მდე ამანათები - 15 (თხუთმეტი) ლარი;

25-30კგ-მდე ამანათები - 17 (ჩვიდმეტი) ლარი;

50კგ-მდე ამანათები - 21 (ოცდაერთი) ლარი.

4.6 ქუთაისის მასშტაბით საკურიერო მომსახურების ტარიფებია:

0-5კგ-მდე ამანათები- 7 (შვიდი) ლარი;

5-10 კგ-მდე ამანათები - 9 (ცხრა) ლარი;  
10-15 კგ-მდე ამანათები - 11 (თერთმეტი) ლარი;  
15-20 კგ-მდე ამანათები - 13 (ცამეტი) ლარი;  
20-25 კგ-მდე ამანათები - 15 (თხუთმეტი) ლარი;  
25-30 კგ-მდე ამანათები - 17 (ჩვიდმეტი) ლარი;  
50 კგ-მდე ამანათები - 21 (ოცდაერთი) ლარი.

4.7 საქართველოს სხვა ქალაქებსა და რეგიონებში ამანათების გაგზავნა ხდება მიმღების მისამართის გათვალისწინებით. რეგიონალური საკურიერო მომსახურების საფასური შეადგენს:

0-5 კგ-მდე ამანათები - 10 (ათი) ლარი;  
5-10 კგ-მდე ამანათები - 14 (თოთხმეტი) ლარი;  
10-15 კგ-მდე ამანათები - 18 (თვრამეტი) ლარი;  
15-20 კგ-მდე ამანათები - 22 (ოცდაორი) ლარი;  
20-25 კგ-მდე ამანათები - 31 (ოცდათერთმეტი) ლარი;  
25-30 კგ-მდე ამანათები - 31 (ოცდათერთმეტი) ლარი;  
50 კგ-მდე ამანათები - 41 (ორმოცდაერთი) ლარი.

4.8 საკურიერო მომსახურება ხორციელდება მომხმარებლის მიერ საკურიერო მომსახურების გააქტიურებისას მითითებულ მისამართზე და მხოლოდ ერთხელ.

4.9 ვებ-გვერდიდან მიმღების მისამართის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ საკურიერო მომსახურების გააქტიურებამდე, სხვა შემთხვევაში ამანათის მიტანა მიმღების შეცვლილ მისამართზე არ მოხდება.

4.10 არ დაიშვება მისამართის შეცვლა და გადამისამართება ოფისში დარეკვით ან ზეპირი შეთანხმების საფუძველზე.

4.11 კურიერი არ აიტანს ამანათს სართულზე.

4.12 ტვირთის მისამართზე მიღებისას აუცილებელია პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენა.

4.13 ექსპრესს საკურიერო მომსახურება თბილისის მასშტაბით ხორციელდება გააქტიურებიდან 2-3 საათის განმავლობაში.

4.14 ექსპრესს საკურიერო მომსახურების გააქტიურება შესაძლებელია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00 საათიდან 17:00 საათამდე, შაბათს 11:00 საათიდან 17:00 საათამდე. კვირას ექსპრესს საკურიერო მომსახურების გააქტიურება არ არის შესაძლებელი.

4.15 ექსპრესს საკურიერო მომსახურების საფასური განისაზღვრება კონკრეტული მისამართის მიხედვით.

4.16 ექსპრესს საკურიერო მომსახურების გააქტიურებისას აუცილებელია რუკაზე ლოკაციის მითითება.

4.17 ტვირთის მიმღების მისამართზე მისვლამდე კურიერი დარეკავს მომხმარებლის მიერ დაფიქსირებულ მობილურის ნომერზე/ნომრებზე ტვირთის ჩაბარებამდე 10-15 წუთით ადრე, რათა გადასცეს მიმღებს ამანათი. თუ ამანათის გადაცემა ვერ ხერხდება ტვირთის მიმღების მიზეზით, კურიერი წაიღებს ამანათს KIWIPOST-ის ოფისში, საიდანაც ტვირთის მიმღები ვალდებულია თვითონ გაიტანოს ამანათი, KIWIPOST-ის ოფისში გზავნილის დაბრუნების შემდგომ. ამანათის დაბრუნება განხორციელდება 2 სამუშაო დღის განმავლობაში. ასეთ

შემთხვევაში გადახდილი საკურიერო მომსახურების საფასური მომხმარებელს არ აუნაზღაურდება.

## **5. სამუშაო განრიგი და ამანათის მიღების პირობები:**

5.1 თბილისის ოფისები მუშაობს ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით (ოფიციალური დასვენების დღეების გარდა) შემდეგი განრიგით: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით : 10:00 – 18:30 შაბათი: 11:00 – 18:00 ნიუარკის ოფისის სამუშაო საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით: 10:00 – 18:00 ლონდონის ოფისის სამუშაო საათებია: ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით: 11:00- 17:00 ათენის ოფისის სამუშაო საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით: 10:30 – 18:00

5.2 აშშ-დან ტვირთის ტრანსპორტირების საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 7-10 (შვიდი-ათი) კალენდარულ დღეს.

5.3 დიდი ბრიტანეთიდან ტვირთის ტრანსპორტირების საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 4-7 (ოთხი-შვიდი) კალენდარულ დღეს.

5.4 თურქეთიდან ტრანსპორტირების საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 4-6 (ოთხი-ექვსი) კალენდარულ დღეს.

5.5 ჩინეთიდან საჰაერო ტრანსპორტირების საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 10-14 (ათი-თოთხმეტი) კალენდარულ დღეს.

5.6 ჩინეთიდან სახმელეთო ტრანსპორტირების საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 30-40 (აოცდაათი-ორმოცი) კალენდარულ დღეს.

5.7 საბერძნეთიდან ტრანსპორტირების საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 6-7 (ექვსი-შვიდი) კალენდარულ დღეს.

5.8 პოლონეთიდან ტრანსპორტირების საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 6-7 (ექვსი-შვიდი) კალენდარულ დღეს.

5.9 ესპანეთიდან ტრანსპორტირების საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 4-7 (ოთხი-შვიდი) კალენდარულ დღეს.

5.10 საერთაშორისო საჰაერო და სახმელეთო გადაზიდვების განრიგი არ არის ფიქსირებული და კომპანია პასუხისმგებლობას არ იღებს ფორსმაჟორული სიტუაციების შემთხვევაში რეისების დაგვიანებაზე (მაგ: რთული მეტეოროლოგიური პირობები, გაუქმებული ან შეცვლილი განრიგი და ა.შ.), ასევე დღესასწაულებთან დაკავშირებულ გადატვირთვებზე.

## **6. ამანათის ოფისიდან გატანის პირობები:**

6.1 ამანათის ჩამოსვლისას მომხმარებელს ეგზავნება ტერმინალის ცხრანიშნა კოდი, როგორც SMS-ით ასევე ელექტრონული ფოსტით.

6.2 ტერმინალით სარგებლობა შესაძლებელია პირად კაბინეტში ასახული დავალიანების სრულად დაფარვის შემთხვევაში.

6.3 ფილიალის ცვლილება შესაძლებელია KIWIPPOST-ის ვებ-გვერდზე, პარამეტრების განყოფილებაში. ცვლილება შეეხება საწყობის განყოფილებაში არსებულ ამანათებს. ცვლილება არ შეეხება უკვე გამოგზავნილ ამანათებს.

6.4 ცხრანიშნა კოდის საფუძველზე მესამე პირს შეუძლია გაიტანოს არა განსაზღვრული ამანათი, ხოლო განსაზღვრული ამანათის გატანა მესამე პირს შეუძლია მხოლოდ ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე.

6.5 ტერმინალის კოდი ეგზავნება მხოლოდ მომხმარებელს და მომხმარებელი პასუხისმგებელია მის კონფიდენციალობაზე ან დაკარგვაზე.

6.6 განსაზღვრული ამანათის გატანა შესაძლებელია მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე.

## **7. განზაჟება:**

7.1 ამანათის დეკლარირება და შესაბამისი შესყიდვის ინვოისის ატვირთვა KIWIPOST-ის ვებ-გვერდზე სავალდებულოა, ამანათის საწყობში ასახვიდან 24 საათის განმავლობაში. ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება მომხმარებელს.

7.2 ტვირთის განზაჟების პროცედურებზე პასუხისმგებელია მომხმარებელი.

7.3 საბაჟო დოკუმენტაციის მომზადების საფასურია 10 (ათი) ლარი, თითოეულ დეკლარაციაზე.

7.4 იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო სამსახური ან ფინანსთა სამინისტრო დააკისრებს საჯარიმო სანქციას კომპანია KIWIPOST-ს, მომხმარებლის მიერ მომსახურების პირობების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო (მაგ.: პროდუქციის არასრული ან არაზუსტი დეკლარირება), კომპანია KIWIPOST-ი უფლებას იტოვებს აღნიშნული ჯარიმის გადახდა დააკისროს მომხმარებელს.

7.5 მომხმარებელი ანგარიშ ვალდებულია კომპანია KiwiPost-ს გადაუხადოს ტრანსპორტირების ღირებულება, იმ შემთხვევაშიც თუ ამანათი გადაეცემა სახელმწიფო საკუთრებაში.

## **8. ამანათის KiwiDrive-ზე გატანის პირობები:**

8.1 ამანათის გადამისამართება KiwiDrive-ზე შესაძლებელია ჩამოსულია განყოფილებაში. სერვისით სარგებლობისთვის აუცილებელია დაფაროთ ტრანსპორტირების ინვოისი და ბალანსზე შეიტანოთ KiwiDrive-ის მომსახურების საფასური.

8.2 ჩამოსული ამანათების KiwiDrive-ზე ერთჯერადი გადამისამართების ღირებულება შეადგენს 5 ლარს.

8.3 KiwiDrive-ზე ამანათი ინახება გადამისამართებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში. ვადის ამოწურვის შემდგომ ამანათი ბრუნდება ექსუნთში დაფიქსირებულ ფილიალში.

8.4 განსაზღვრული ამანათის KiwiDrive-ზე გადამისამართება შესაძლებელია, ხელმოწერილი დეკლარაციის ელ ფოსტაზე გამოგზავნის შემთხვევაში.

8.5 ამანათის მიღება KiwiDrive-ზე შესაძლებელია, როგორც ტერმინალის ასევე QR კოდის მეშვეობით.

8.6 KiwiDrive -ის სამუშაო საათებია 09:00-24:00

## **9. დაზღვევის და უსაფრთხოების პირობები:**

9.1 დაზღვევის მომსახურების გააქტიურება შესაძლებელია ამანათების მართვის პანელიდან, შესაბამისი ღილაკის მეშვეობით. მომსახურების გააქტიურება ან გაუქმება შეუძლებელია „ჩამოსულია“ და „გზაშია“ განყოფილებებში ასახულ თრეკინგ კოდებზე. დაზღვევის მომსახურების საფასური შეადგენს დეკლარირებული თანხის 1 %-ს. 300 აშშ დოლარის, გირვანქა სტერლინგის ან მეტი ღირებულების დეკლარირების შემთხვევაში დაზღვევის მომსახურება აქტიურდება ავტომატურად. მომხმარებელი ვალდებულია მოგვმართოს წერილობით აღნიშნული მომსახურების გასაუქმებლად, იქამდე, სანამ ამანათი გადაინაცვლებს „ჩამოსულია“ განყოფილებაში. კომპანია არ იღებს პასუხისმგებლობას ამანათის შიგთავსის ვარგისიანობაზე, ქარხნულ წუნზე.

9.2 დაზღვევის მომსახურების პირობებით, კომპანია იღებს პასუხისმგებლობას ტვირთის გარეგანი დაზიანების არსებობის ან ამანათის საწყობში მიტანის შემდეგ დაკარგვის შემთხვევაში.

9.3 ზიანის ანაზღაურება მოხდება შესაბამისი შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე და განხილვის პერიოდი შეადგენს საშუალოდ 10 (ათი) კალენდარულ დღეს. ანაზღაურება ხორციელდება დეკლარირებული თანხის შესაბამისად, არაუმეტეს ინვოისში მითითებული თანხისა.

9.4 ამანათი, რომელიც არ იქნა ასახული „საწყობი“-ს განყოფილებაში, დაზღვევის პირობებს არ ექვემდებარება. საკითხი განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი წარმოადგენს დამადასტურებელ დოკუმენტს, კერძოდ, Proof of Delivery, სადაც ფიქსირდება მიმღების ხელმოწერა და ზუსტი მისამართი.

9.5 კომპანია არ იღებს პასუხისმგებლობას მეორადი პროდუქციის, პირადი გზავნილის ან შეკეთებული ნივთების დაზიანებაზე.

8.6 დაზღვევის მომსახურების საფასური აისახება შესაბამის ტრანსპორტირების ინვოისში.

## **10. პროდუქცია, რომლის ტრანსპორტირებაც აკრძალულია:**

10.1 აკრძალულია შემდეგი სახის პროდუქციის ტრანსპორტირება:

- ა) რეალური ფული, ფასიანი ქაღალდები, საბანკო ბარათები და ბანკნოტები;
- ბ) ძვირფასი ქვები, პლატინა, ოქრო, ვერცხლი და მათგან დამზადებული საიუველირო ნაწარმი;
- გ) საღებავი და ტოქსიკური ნივთიერებები;
- დ) ფეთქებადი, ალეხადი და სხვა საშიში ნივთები;
- ე) ცეცხლსასროლი იარაღი ან მათი ნაწილები, ელექტრომოკერი, არბალეტი და ცივი იარაღები;
- ვ) პორნოგრაფიული სახის პროდუქცია;
- ზ) ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი პროდუქცია;
- თ) ნებისმიერი სახის არომატიზატორი.
- ი) სამედიცინო პრეპარატები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით მხოლოდ რეცეპტით გაიცემა;
- კ) ცხოველები, ფრინველები, თევზები, მღრღნელები ან მათი ფიტულები;
- ლ) რძის, ხორცის, თევზის პროდუქტები ან თამბაქოს ნაწარმი.

ჩინეთიდან გამოგზავნილ ამანათებზე მოქმედებს დამატებითი რეგულაციები. აკრძალულია შემდეგი ტიპის პროდუქციის ტრანსპორტირება:

- ა) სითხეები
- ბ) ფხვნილი
- გ) საკვები
- დ) ბატარეა

10.2 მომხმარებლის მხრიდან აკრძალული პროდუქციის გამოგზავნის შემთხვევაში კომპანია KIWI POST-ი არ იღებს პასუხისმგებლობას საბაჟოს მხრიდან პროდუქციის კონფისკაციაზე.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი მაინც გაგზავნის აკრძალულ პროდუქციას კომპანია KIWI POST-ის მეშვეობით, კომპანია არ იღებს პასუხისმგებლობას ტვირთის მომხმარებლისთვის დაბრუნებაზე ან ტვირთის მიმღებისათვის გადაცემაზე. აღნიშნული დარღვევა ჩაითვლება მომსახურების პირობების დარღვევად, რაც გამოიწვევს მომხმარებლისათვის მომსახურების უპირობო შეწყვეტას და საჯარიმო სანქციების დაკისრებას, რაც განისაზღვრება კომპანია KIWI POST-ისთვის მიყენებული მატერიალური ზარალის ოდენობით.

10.4 აღნიშნული ნუსხა არასრულია და KIWI POST-ი, როგორც ექსპედიტორი კომპანია, უფლებამოსილია არ გამოაგზავნოს საქართველოში ესა თუ ის პროდუქცია უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე. გამოგზავნადი პროდუქციის ნუსხა ასეულ გვერდს შეადგენს, გააჩნია უამრავი გამონაკლისები და ნიუანსები, რომელიც კონკრეტული შემთხვევების დროს სათითაოდ განიხილება. სწორედ ამის გამო, შეუძლებელია სტანდარტული სიის გამოქვეყნება კომპანიის ვებ-გვერდზე.

10.5 კონკრეტული პროდუქციის ქვეყანაში შემოტანის თაობაზე, მომხმარებელი ვალდებულია დაუკავშირდეს KIWIPPOST-ის ოფისს და დააზუსტოს ინფორმაცია, როგორც KIWIPPOST-თან, აგრეთვე შემოსავლების სამსახურთან.

## **11. სხვა პირობები:**

11.1 წინამდებარე მომსახურების პირობები ითვლება კომპანიასა და მომხმარებელს შორის დადებულ შეთანხმებად. აღნიშნული პირობების მომხმარებლისთვის წარდგენის მომენტიდან, კომპანიის ვებ- გვერდზე ან აპლიკაციაში შესაბამისი „ვეთანხმები“ ღილაკის დაჭერით.

11.2 KIWIPPOST-ი ვალდებულებას იღებს კლიენტთან მხოლოდ იმ სერვისებზე, რაც აღწერილია მომსახურების პირობების გვერდზე.

11.3 KIWIPPOST-ი უფლებას იტოვებს მოახდინოს მომხმარებელთან ურთიერთობის ჩაწერა და დამახსოვრება ინტერნეტის, სატელეკომუნიკაციო თუ ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების ყველა სახეობის საშუალებით, მათ შორის ელ-ფოსტით გამოგზავნილი წერილების, ჩათით ან ტელეფონით საუბრები, ფეისბუქის თუ ბლოგის კომენტარები, რაც შესაძლოა კომპანიამ გამოიყენოს მისი უფლებების დაცვის მიზნით მომხმარებელთან სასამართლო ან სხვა დავის წარმოქმნის შემთხვევაში.

11.4 ოთახის ნომერი, რომელზეც არცერთი ამანათი არ ფიქსირდება ჩაითვლება არა-აქტიურად და გაუქმდება მისი რეგისტრაციიდან 3 თვის შემდეგ.

11.5 მომხმარებლის პირადი ინფორმაცია დაცულია. კომპანია KIWIPPOST-ი არ გადასცემს მესამე მხარეს მომხმარებლის შესახებ რაიმე სახის ინფორმაციას სასამართლო დადგენილების გარეშე.

11.6 კომპანია KIWIPOST-ი უფლებას იტოვებს შეუზღუდოს მომხმარებელს მომსახურება აღნიშნული ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, ასევე, შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელების ან/და კომპანიის ინტერესების უხეში დარღვევისათვის.

11.7 KIWIPOST-ი უფლებას იტოვებს კლიენტის წინასწარი ინფორმირების შემდეგ, მასთან შეთანხმების გარეშე, შეცვალოს მომსახურების მიწოდების პირობები ან შეუწყვიტოს მომხმარებელს მომსახურების მიწოდება.

11.8 მომხმარებლის სახელის და გვარის შეცვლა რეგისტრაციის შემდეგ აღარ ხდება, კომპანიის მხრიდან შესაბამისი ინსტრუქციების გარეშე. ინსტრუქციები გულისხმობს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას ოფისში ან ელ-ფოსტაზე და სხვა.

11.9 KIWIPOST-ის ვებ-გვერდზე განთავსებული ტექსტური მასალა „ხშირად დასმულ კითხვების განყოფილებიდან“ და „მომსახურების პირობების“ გვერდიდან წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11.10 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან ერთად, მომხმარებლისა და ექსპედიტორის უფლება-მოვალეობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## **მომსახურების პროცესში პერსონალური მონაცემების დამუშავების წესები და პირობები**

### **1. ვისზე ვრცელდება**

ეს დოკუმენტი ვრცელდება ყველა მომხმარებელზე, ვინც სარგებლობს შპს „კივის“ მომსახურებით ვებგვერდით ან/და მობილური აპლიკაციით.

### **2. დამუშავებული პერსონალური მონაცემები**

შპს „კივი“ ამუშავებს მომხმარებლის შემდეგ მონაცემებს:

- სახელი და გვარი;
- ტელეფონის ნომერი
- ელ.ფოსტა
- საცხოვრებელი ან მიწოდების მისამართი
- ანგარიშთან და შეკვეთასთან დაკავშირებული ინფორმაცია (გადახდის დეტალები, ტრანზაქციის ისტორია)

### **3. დამუშავების მიზანი**

მონაცემები მუშავდება:

- ანგარიშის რეგისტრაციისა და მართვისთვის
- შეკვეთებისა და მიწოდების უზრუნველსაყოფად
- სერვისთან დაკავშირებული კომუნიკაციისთვის

- მომხმარებლის გამოცდილების გასაუმჯობესებლად

#### 4. მონაცემების გადაცემა მესამე პირებზე

მონაცემების გადაცემა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია:

- საკურიერო და ლოგისტიკურ კომპანიებთან თანამშრომლობისთვის
- საბაჟო და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, კანონით დადგენილი ვალდებულების საფუძველზე

#### 5. მონაცემების უსაფრთხოების დაცვა

შპს „კივი“ იყენებს ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს, რათა უზრუნველყოს მონაცემების უსაფრთხოება. შპს „კივის“ მონაცემთა დაცვის ოფიცერი უზრუნველყოფს ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ზომების დაცვის/შესრულების მონიტორინგს.

#### 6. მომხმარებლის უფლებები

თქვენ გაქვთ უფლება ნებისმიერ დროს უსასყიდლოდ:

- მიიღოთ ინფორმაცია იმ მონაცემებზე, რომელსაც კომპანია თქვენზე ამუშავებს;
- მოითხოვოთ მონაცემების გასწორება ან განახლება;
- წაშალოთ თქვენი ანგარიში და პერსონალური ინფორმაცია;
- ისარგებლოთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

გთხოვთ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით კითხვების ან/და კონსულტაციის შემთხვევაში მიმართეთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს: [info@dpo.ge](mailto:info@dpo.ge) +995 555 50 51 58

#### 7. საკონტაქტო ინფორმაცია

- ელ.ფოსტა: [support@kiwipost.ge](mailto:support@kiwipost.ge)
- ტელეფონი: +995 32 205 23 24.

**გმადლობთ, რომ სარგებლობთ ჩვენი მომსახურებით!**